ხელშეკრულება N 39
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

18 აპრილი 2023 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის არჩილ სირაბიძის სახით, მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის 02 დეკემბრის N01-01-6/48 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და მეორე მხრივ, ინდ. მეწარმე „ტარიელ ბერიძე“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), გამარტივებული შესყიდვის შედეგად „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, (კლასიფიკატორის კოდი - 44500000) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია: ელექტროსახრახნისი.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **275** ლარს.

#	დასახელება	განზ.	რაოდენობა	ერთ. ღირ	მთ. ღირ.	CPV კოდი
1	ელექტროსახრახნისი	ცალი	1	275	275	44512800

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

3.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ-ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - რეზო ქათამაძე.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, პირობები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მოწოდება მიმწოდებლის მიერ უნდა მოხდეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2023 წლის 17 მარტის ჩათვლით პერიოდში.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია წუნდებული საქონლის შეცვლა განახორციელოს შეტყობინების მიღებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე.

4.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია - ქ. ბათუმი მ. კომახიძის ქუჩა N119, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

5.შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმებით.

5.2 სასაქონლო ზედნადების გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3 საქონლის მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის მატერიალურ- ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი - შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - რეზო ქათამაძე.

6.ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

6.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3 შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს, ან ჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ არ იქნება ანაზღაურებული მიმწოდებლის მიერ მასზე დარიცხული პირგასამტეხლოს/ჯარიმების (არსებობის შემთხვევაში) ბიუჯეტში გადახდამდე.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%- ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე მხარეს.

10.ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

10.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მომსახურების გაწევაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

11.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მიმწოდებელს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არ ასრულებს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

11.2 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს (არღვევს) წინამდებარე ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს, მათ შორის: 1. მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდება მიმდინარეობს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით; 2. თუ საქონელის მიწოდების ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების %-ს; 3. თუ მიმწოდებელი მიიღებს 3 (სამი) გამაფრთხილებელ წერილს, შემსყიდველი ცალმხრივად წყვეტს ხელშეკრულებას. 4. მიმწოდებლის მიმართ გადახდისუუნარობის, გაკოტრების საქმის ან სხვა მსგავსი წარმოების განხსნის შემთხვევაში;

11.3 შემსყიდველს და მიმწოდებელს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

11.4 ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელი დაუყოვნებლივ წყვეტს სამუშაოებს.

11.5 თუ შემსყიდველი ხელშეკრულებას შეწყვეტს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, აღნიშნულ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებული იქნება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში შემსყიდველს აუნაზღაუროს ყველა ზიანი და ზარალი.

12. ფორს მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13.სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. გამოყენებული სამართალი

14.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15. გადასახადები და დაბეგვრა

15.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17. სხვა პირობები

17.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

17.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ასლი არის თანაბარი იურიდიული ძალის მქონე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო	ინდ. მეწარმე „ტარიელ ბერიძე“
ტელ: (422) 27-35-10	ტელ: 593 65-88-10
მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119	მისამართი: ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. № 47
	საბანკო რეკვიზიტები:
	სს „საქართველოს ბანკი“
საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200	ბანკის კოდი - BAGAGE22
	ა/ნ – GE18BG0000000162734864
	საიდენტიფიკაციო კოდი - 61006051613
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი	ინდივიდუალური მეწარმე
არჩილ სირაბიძე	ტარიელ ბერიძე

Archil Sirabidze 61007003125

Digitally signed by Archil Sirabidze
Date: 2023.04.19 14:34:14